



A TARIEL ZIVZIVADZE PROJECT

## მე-7 საერთაშორისო სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადა [ISBO7]

საერთაშორისო სტუდენტური ბიზნეს ოლიმპიადა [ISBO7] გამორჩეულ სტუდენტთა ინტელექტუალური ონლაინ ბიზნეს შეჯიბრია. იგი 2006 წლიდან ყოველწლიურად ტარდება ბიზნეს განათლების პოპულარიზაციის, წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენისა და წახალისების მიზნით. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისაგან შემდგარ გუნდს. შეჯიბრის მთავარი მექანიზმია სტრატეგიული ბიზნეს სიმულაცია - **B-STRAT**. მიმდინარე ოლიმპიადა რიგით მეშვიდეა. პროექტის შესახებ სრული ინფორმაცია განთავსებულია ოფიციალურ ვებსაიტზე - [www.isbo.ge](http://www.isbo.ge)

### ISBO7 პარტნიორები არიან:

- \*\* შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი [IBSU] - [www.ibsu.edu.ge](http://www.ibsu.edu.ge)
- \*\* ყაზახურ-რუსული საერთაშორისო უნივერსიტეტი [KRMU] - [www.krmu.kz](http://www.krmu.kz)
- \*\* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი [TSU] - [www.tsu.edu.ge](http://www.tsu.edu.ge)
- \*\* გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი [GTTU] - [www.gttu.edu.ge](http://www.gttu.edu.ge)
- \*\* გ. რობაქიძის უნივერსიტეტი [GRUNI] - [www.gruni.edu.ge](http://www.gruni.edu.ge)
- \*\* საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი [SEU] - [www.seu.edu.ge](http://www.seu.edu.ge)
- \*\* Conference.ge - ბიზნეს საკონსულტაციო საიტი - [www.conference.ge](http://www.conference.ge)
- \*\* MARNET Associates LLC - [www.marketing.ge](http://www.marketing.ge)

პროექტის უშუალო ორგანიზებას და ჩატარებას ახდენს ბნ. ტარიელ ზივზივადე, პროექტის ავტორი და მმართველი.

### რითია ISBO7 გამორჩეული?

1. ISBO7-ის შეჯიბრის მთავარი მექანიზმია სტრატეგიული ბიზნეს სიმულაცია - B-STRAT. ვირტუალურ ბიზნეს გარემოში სტუდენტური გუნდები აყალიბებენ ვირტუალურ ბიზნეს კომპანიებს, აწარმოებენ და ვირტუალურ ბაზარზე ყიდიან პროდუქტებს, იგებენ ვირტუალურ ფულს და იმარჯვებენ. ერთადერთი შემფასებელი არის თავად კომპიუტერული პროგრამა, რაც 100% ობიექტურობას უზრუნველყოფს. სტრატეგიული ბიზნეს სიმულაცია B-STRAT 1998 წელს შეიქმნა ბნ. ტარიელ ზივზივადის მიერ და უკვე 14 წელია ტარდება და ვითარდება.
2. ISBO7-ი ინტერნეტით მიმდინარეობს: გუნდების რეგისტრაცია, სტრატეგიული ბიზნეს სიმულაციის რუნდები და კომუნიკაცია პროგრამის ადმინისტრატორთან დისტანციურად ხდება. B-STRAT სრულფასოვანი დისტანციური პროგრამაა. ეს კი საერთაშორისო ჩართულობას ყოველგვარი ზედმეტი დანახარჯების [მაგალითად მგზავრობის ხარჯი] გარეშე უზრუნველყოფს.
3. ISBO7 დაწყების მომენტიდანვე დაწესებულია მზარდი საერთო საპრიზო ფონდი 3000 ლარის ოდენობით, რომელმაც მაქსიმუმ 10,000 ლარამდე შეიძლება ავიდეს ISBO7 დასრულების მომენტისათვის. ყოველი დამატებითი პარტნიორის თუ მონაწილის მოზიდვა ზრდის საპრიზო ფონდს, რომელიც მთლიანად განაწილდება მინიმუმ 20 გამარჯვებულ სტუდენტს შორის მათ მიერ მოპოვებული ქულების პროპორციულად.

## ISBO7 სქემა

ISBO7 2012 წლის განმავლობაში 2 ეტაპად მიმდინარეობს: 1) შესარჩევი ეტაპი და 2) ელიტ-რაუნდი

### ეტაპი 1: შესარჩევი ეტაპი [მონაწილეობა ყველა სტუდენტისათვის უფასოა]

იწყება 2012 წლის 2 ოქტომბერს, გაგრძელდება 8 კვირის განმავლობაში და მიზნად ისახავს გამოვლინდნენ საუკეთესო სტუდენტური გუნდები ელიტ რაუნდში მონაწილეობის მისაღებად. დაგეგმილი საქმიანობებია:

1. რეგისტრაციის პერიოდი. სტუდენტური გუნდების რეგისტრაცია იწარმოებს 2 ოქტომბრიდან 21 ოქტომბრის ჩათვლით. ამ პერიოდში სტუდენტების გუნდმა [გუნდში 1, 2, 3 ან 4 სტუდენტით] უნდა შეავსოს ელექტრონული განაცხადი და გააგზავნოს იგი ელ-ფოსტით კონკრეტულ მისამართზე. რეგისტრაციის ფორმის ჩამოტვირთვა შეიძლება პროექტის ოფიციალური ვებსაიტიდან.
2. შესარჩევი სიმულაცი[ებ]ის ჩატარება. რეგისტრირებული გუნდების რაოდენობის გათვალისწინებით ჩატარდება სტრატეგიული ბიზნეს სიმულაციის [B-STRAT] ერთი, ორი ან მეტი პარალელური რაუნდი. "რაუნდი" თავის მხრივ არის კონკრეტული რაოდენობის გუნდებისათვის ჩატარებული B-STRAT სიმულაცია. მას შემდეგ რაც გუნდების რეგისტრაცია დასრულდება 21 ოქტომბერს ISBO7 ადმინისტრატორი გადაწყვეტს თუ რამდენი რაუნდი ჩატარდეს და რამდენი გუნდი იქნება თითოეულ რაუნდში [ერთ რაუნდში ერთდროულად შეიძლება მონაწილეობდეს 100-მდე გუნდი]. შესარჩევი ეტაპის რაუნდები დაიწყება 22 ოქტომბერს და დასრულდება 25 ნოემბერს.
3. იმისათვის რომ შესარჩევი რაუნდში მონაწილე გუნდმა მოიპოვოს ელიტ-რაუნდში მონაწილეობის საგზური, საჭიროა შესარჩევი ეტაპზე ჩატარებული სიმულაცია დაასრულოს წარმატებით. ეს ნიშნავს შემდეგს: სტრატეგიული ბიზნეს სიმულაციის [B-STRAT]-ში მონაწილეობის დროს გუნდი მართავს საკუთარ ბიზნეს კომპანიას. იგი ქმნის ვირტუალურ პროდუქტებს, გააქვს ისინი ვირტუალურ ბაზარზე, ებრძვის კონკურენტებს სხვადასხვა მარკეტინგული მეთოდებით, რათა გაყიდოს რაც შეიძლება მეტი პროდუქტი, იშოვოს რაც შეიძლება მეტი ვირტუალური ფული და შესაბამისად დააგროვოს რაც შეიძლება მეტი ქულა. თუ გუნდი მოახერხებს რომ მისმა კომპანიამ რაუნდი დადებითი ბალანსით დაასრულოს [დააგროვოს ქულები იმ პირობით რომ უფრო მეტი ვირტუალური ფული უნდა მოიგოს, ვიდრე წააგებს], ამ შემთხვევაში გუნდს მიეცემა ელიტ რაუნდის საგზური.

### ეტაპი 2: ელიტ რაუნდი

დაიწყება 2012 წლის 26 ნოემბერს და გაგრძელდება 4 კვირის განმავლობაში, 23 დეკემბრამდე. ამ ეტაპის მიზანია გამოვლინდნენ ოლიმპიადის გამარჯვებული ინდივიდები, ანუ შეჯიბრი უკვე ხდება ინდივიდუალური. საბოლოოდ იმარჯვებენ და ჯილდოვდებიან ინდივიდები. დაგეგმილი საქმიანობებია:

1. ელიტ რაუნდში გასული სტუდენტური გუნდების ხელახალი რეგისტრაცია.
2. ელიტ რაუნდის სიმულაციის ჩატარება.
3. გამარჯვებულთა დაჯილდოვება.

შესარჩევი რაუნდში მონაწილეობა ყველა სტუდენტისათვის უფასოა, მაგრამ ელიტ რაუნდში სტუდენტის და მისი გუნდის მოხვედრა შესაძლებელია მხოლოდ სამი გზით:

1. ISBO7 პარტნიორი უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდმა მონაწილეობა მიიღოს შესარჩევი რაუნდში და ელიტ რაუნდში გავიდეს მისი უნივერსიტეტის ქვოტით. ყოველ პარტნიორ უნივერსიტეტს 5 გუნდის ქვოტა აქვს ელიტ რაუნდში. ჩვეულებრივ ამ 5 ადგილს დაიკავებენ მისი საუკეთესო გუნდები, რომელთაც თავიანთი უპირატესობა დაამტკიცეს შესარჩევი რაუნდზე. ელიტ რაუნდში ქვოტით გასული გუნდები არ იხდიან სარეგისტრაციო მოსაკრებელს.
2. სტუდენტთა გუნდი ელიტ რაუნდში გავიდეს დამოუკიდებლად, პარტნიორი სასწავლებლის ქვოტის გვერდის ავლით. ამ შემთხვევაში გუნდი იხდის სარეგისტრაციო მოსაკრებელს - 50 ლარს. ეს თანხა მთლიანად დაემატება ISBO7 საპრიზო ფონდს.

3. თუ გუნდი გვიან გაიგებს ISBO7-ის შესახებ ან შესარჩევ რაუნდში ვერ მოიპოვებს ელიტ რაუნდის საგზურს და მაინც სურს ელიტ რაუნდში მონაწილეობა, ეს შესაძლებელია. ამ შემთხვევაში გუნდი იხდის სარეგისტრაციო მოსაკრებელს - 100 ლარს. ეს თანხა მთლიანად დაემატება ISBO7 საპრიზო ფონდს.

შენიშვნა:

შესარჩევ რაუნდში მონაწილეობა ყველა სტუდენტისათვის უფასოა.

ელიტ რაუნდში 50 და 100 ლარიანი რეგისტრაციის მოსაკრებლის დაწესება განპირობებულია შემდეგი მიზეზით: ოლიმპიადის მინიმუმ 20 გამარჯვებული სტუდენტისათვის დაწესებულია 10,000 ლარამდე მზარდი ფულადი საპრიზო ფონდი. ასევე არის მნიშვნელოვანი მატერიალური და არამატერიალური პრიზებიც, რაც სავარაუდოდ მიიზიდავს დიდი რაოდენობის მსურველს. რეგისტრაციის მოსაკრებლის დაწესება ელიტ რაუნდში მხოლოდ მოტივირებული სტუდენტების ჩართვას უზრუნველყოფს.

### **პროექტის ოფიციალური ენები**

პროექტის ოფიციალური ენებია ინგლისური და ქართული.

B-STRAT რაუნდები ჩატარდება როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად. მასალები მომზადდება ორივე ენაზე. კომუნიკაცია სტუდენტებთან იწარმოებს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე, იმისდა მიხედვით თუ როგორ ურჩევნია თავად სტუდენტს. პროექტის ოფიციალურ საიტზე მიმდინარე სიახლეები კვირაში რამოდენიმეჯერ გამოქვეყნდება ინგლისურ ენაზე.

### **სტუდენტური გუნდების მონაწილეობის პირობები**

ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებსაგან [თითო გუნდში 1, 2, 3 ან 4 სტუდენტი] შემდგარ გუნდს, რომელიც გაივლის სათანადო რეგისტრაციის პროცესს. ყველა მონაწილე რეგისტრაციის მომენტში უნდა იყოს სტუდენტი.

შესარჩევ რაუნდში მონაწილეობა და ამ უნიკალური გამოცდილების მიღება ყველა სტუდენტური გუნდისათვის უფასოა.

### **პრიზები**

**ISBO7-ს** გამარჯვებულთათვის დაწესებულია სხვადასხვა სახის როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური პრიზები.

1. ფულადი პრიზი განსაზღვრულია ოლიმპიადის გამარჯვებული მინიმუმ 20 სტუდენტისათვის. დაწესებულია მზარდი საპრიზო ფონდი 3000 ლარის ოდენობით, რომელმაც მაქსიმუმ 10,000 ლარამდე შეიძლება მიაღწიოს ISBO7 დასრულების მომენტისათვის. 20 ან მეტ გამარჯვებულს შორის საპრიზო ფონდი განაწილდება მათ მიერ ელიტ რაუნდში მიღებული ქულების პროპორციულად.
2. ISBO7 ფარგლებში გაიცემა შემდეგი სახის სერტიფიკატები:
  - I. ოლიმპიადის ელიტ რაუნდის მინიმუმ 20 გამარჯვებული სტუდენტი მიიღებს სერტიფიკატს. 1, 2, 3, 4 და 5-ე ადგილის მფლობელების სერტიფიკატში ჩაიწერება დაკავებული ადგილი;
  - II. ოლიმპიადის ელიტ რაუნდის მონაწილე ნებისმიერი სასწავლებლის [მიუხედავად იმისა ოლიმპიადის პარტნიორია სასწავლებელი თუ არა] სტუდენტთა შორის 3 საუკეთესო მიიღებს მონაწილეობის სერტიფიკატს, თუ ისინი საუკეთესო ოცეულში ვერ მოხვდებიან;

- III. ზემოთ ჩამოთვლილი სერტიფიკატის მიმღები ყოველი სტუდენტის რეგისტრაციის ფორმაში მითითებული პედაგოგი ასევე მიიღებს სერტიფიკატს;
3. ISBO7-ში პირველად ჩატარების 6 წლიანი ისტორიის მანძილზე შედგება ელიტ რაუნდში მონაწილე სტუდენტთა რეიტინგი. ეს რეიტინგი ღიად გამოცხადდება დაჯილდოვების ცერემონიაზე და დაიდება პროექტის საიტზე. რეიტინგი განახლდება ყოველ წელს ჩატარებული ოლიმპიადის შედეგებიდან გამომდინარე.
  4. ISBO7-ში პირველად ჩატარების 6 წლიანი ისტორიის მანძილზე შედგება სასწავლებელთა რეიტინგი. რეიტინგს საფუძვლად დაედება კონკრეტული სასწავლებლის სტუდენტთა მიღწევები ოლიმპიადის ფარგლებში. ეს რეიტინგი ღიად გამოცხადდება დაჯილდოვების ცერემონიაზე და დაიდება პროექტის საიტზე. რეიტინგი განახლდება ყოველ წელს ჩატარებული ოლიმპიადის შედეგებიდან გამომდინარე.
  5. ელიტ რაუნდში ყველა მონაწილე სტუდენტი ამ რეიტინგის და B-STRAT-ში წარმატების საფუძველზე მიიღებს Business რეკომენდაციას, სადაც პროფესიონალურ დონეზე შეფასდება ISBO7-ში მისი მონაწილეობა და ბიზნეს უნარ-ჩვევები. ამ რეკომენდაციაში დეტალურად მიმოიხილება სტუდენტის მიერ განვლილი გზა და გაკეთდება მისი წარმატების შეფასება რიგი კრიტერიუმების მიხედვით. რეკომენდაციის გამოყენება შესაძლებელი იქნება სტუდენტის მიერ სამსახურის პოვნის დროს, სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობისას და ა.შ. რეკომენდაცია იქნება იმ ენაზე [ქართული ან ინგლისური], რა ენაზეც სტუდენტი მოითხოვს.
  6. ელიტ რაუნდში ყველა მონაწილე სტუდენტი მისი სურვილის შემთხვევაში ISBO7 მმართველის, ბნ. ტარიელ ზივზივამისაგან ზემოთ აღნიშნულ Business რეკომენდაციას ასევე მიიღებს ბიზნეს სოციალურ ქსელ - LinkedIn.com - ში ელექტრონული სახით. ამ შემთხვევაში ეს რეკომენდაცია ხილვადი იქნება კონკრეტული სტუდენტის LinkedIn პროფილის ყველა სტუმრისათვის. ეს სტუდენტის სამომავლო პროფესიული ონლაინ იმიჯის ჩამოყალიბების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.

ყოველი სერტიფიკატი იქნება ინგლისურენოვანი. მასზე დატანილი იქნება პარტნიორთა და სპონსორთა ლოგოები და ტექსტი იმ კონკრეტული მიღწევის აღწერით, რისთვისაც სერტიფიკატი გაიცა. ყველა პრიზი, სერტიფიკატი და რეკომენდაცია გაიცემა ოლიმპიადის დასრულების შემდეგ.

### **დამატებითი ინფორმაცია**

[www.isbo.ge](http://www.isbo.ge) - პროექტის ვებ გვერდია, სადაც გაშუქდება ყველა ეტაპი. თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ შეეხმიანოთ ორგანიზატორებს ელ-ფოსტით: [isbo@isbo.ge](mailto:isbo@isbo.ge) და [marnetllc@gmail.com](mailto:marnetllc@gmail.com)

### **შემდეგი ნაბიჯი?**

სტუდენტური გუნდების რეგისტრაცია 2 ოქტომბერს დაიწყო და 21 ოქტომბრის ჩათვლით იწარმოებს. [www.isbo.ge](http://www.isbo.ge) -დან ჩამოტვირთეთ რეგისტრაციის ფორმა, შეავსეთ, ელ-ფოსტით გააგზავნეთ ფორმაში მითითებულ კონკრეტულ ელექტრონულ მისამართზე, დაელოდეთ დადასტურებას და შემდგომ ინსტრუქციებს ადმინისტრატორისგან.